

შპს ჰავანა
2022 წლის
ფინანსური ანგარიშგება

შპს ჰავანა

დირექტორი : ანა ცქიფურიშვილი



სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6



შპს ჰავანა

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022	2021
ნეტო ამონაგები		2,788,541	2,425,944
მოსახურების გაწევიდან		0	0
საქონლის მიწოდებიდან	0	2,781,133	2,425,944
სხვა შემოსავალი		7408	-

სასაქონლო მატ. მარაგების ხარჯები	0	-1,556,309	-1,472,182
საწყისი მარაგები		805,234	819,078
მარაგების შესყიდვა		-1,135,127	-1,486,026
გაყიდვების თვითღირებულება		0	0
საბოლოო მარაგები		1,226,416	805,234
საერთო მოგება		1,232,232	953,762

პირდაპირი საოპერაციო ხარჯები		-	-
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	0	-348,183	-200,643
ძირითადი საშუალებების მიმდინარე საქსპლუტაციო ხარჯები		0	0
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი		-34,770	-21,688
მივლინების ხარჯი		0	0
ცვეთა და ამორტიზაცია		-58,669	-2,071
იჯარის ხარჯი	6	-87,565	-50,605
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	-183,721	-118,324
სულ საოპერაციო ხარჯები		-712,908	-393,331

საოპერაციო მოგება		519,324	560,431
--------------------------	--	----------------	----------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		-	-
ფინანსური აქტივები		-	-
მარაგები		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	0	0	0
საპროცენტო შემოსავლები		0	-

შპს ჰავანა

დირექტორი : ანა ცქიფურიშვილი



სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ზარჯი)	0	-23213	-2,742
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		496,111	557,689
მოგება/(ზარალი)		496,111	557,689
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1,300,276	829273
სხვა		-247678	-86686
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მოთხოვნი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		1,548,709	1,300,276

შპს ჰავანა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022 - ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2022	2021	2020
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები		444,946	207,591	65,346
სავაჭრო მოთხოვნები	9	54,721	61595	46826
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	10	46,671	0	0
მარაგები		1226416	856,830	850,897
- მზა პროდუქცია		1221868	800686	816046
- სხვა		4548	4548	3033
სხვა მიმდინარე აქტივები	11	0	51,596	31,818
არამატერიალური აქტივები	12	0	-	-
ძირითადი საშუალებები	12	298,062	267,940	78,804
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	-	-
სულ აქტივები		2,070,816	1,393,956	1,041,873
		-		
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	13	522,107	93,680	210,838
მიღებული ავანსები		-	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-	-

შპს ჰავანა

დირექტორი : ანა ცქიფურიშვილი



სხვა ვალდებულებები	14	0	0	1,762
სულ ვალდებულებები		522,107	93,680	212,600
		-		
საკუთარი კაპიტალი		-		
საწესდებო კაპიტალი შპს ში		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,548,709	1,300,276	829,273
სხვა რეზერვები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		2,070,816	1,393,956	1,041,873
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				

შპს ჰავანა

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022	2021
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,300,276	829,273
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-247,678	-86,686
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		496,111	557,689
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,548,709	1,300,276

შპს ჰავანა

დირექტორი : ანა ცქიფურიშვილი



შპს ჰავანა**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის****1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს ჰავანა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 19/12/2013 ს.კ. 405022817). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ყიფშიძის 2ბ. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სიგარის და ალკოჰოლი სასმელის ვაჭრობა, ადგილზე მიწოდება (ე.წ. დელივერი სერვისით). კომპანიის საქმიანობა აგრეთვე მოიცავს სხვა მომსახურებების ელემენტებსაც, როგორიცაა მომწოდებლებზე პროდუქტის დაშვების მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგები მომსახურებუდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება და როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის საიმედოდ შეფასება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

შპს ჰავანა

დირექტორი : ანა ცქიფურიშვილი



სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, მოგების გადასახადის ვალდებულების აღიარება ხდება, ფინანსური შედეგის მიხედვით იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილება დივიდენტების გამოცხადების შესახებ მიღებულია და არ არსებობს მისი გაუქმების დიდი ალბათობა, სხვა შემთხვევაში მოგების გადასახადის აღიარება ხდება დივიდენტის ფაქტობრივად გადახდის პერიოდში.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ხდება აქტივების გადაფასება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუ ცნობილია არამატერიალური აქტივის გამოყენების



ვადა, სხვა შემთხვევაში მისი ამორტიზება ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდით წლიური 15 %- იანი განაკვეთით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქტივების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად ჩამორჩება მის რეალურ ღირებულებას ხდება მისი გადაფასება და რეალურ ღირებულებამდე დაყვანა, შესაბამისი აფასების თანხა აღირიცხება კაპიტალის მუხლში, ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის სახით, რომლის კომპენსირებაც ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში აფასებულ ღირებულებაზე დარიცხული ცვეთის თანხით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით),



რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება

ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხარჯად აღიარება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით ან წინასწარი გადახდით. დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოიქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.



სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სასესხო ვალდებულებები

ნასესხებ თანხებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ყოველი თვი ბოლოს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში მიუხედავად ფაქტობრივად გადახდის თარიღისა.

3. შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ფორმირებულია საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივების რეალიზაციიდან.

4. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება საწარმოს ადმინისტრაციული საჭიროებისთვის შემენილი მარაგებისგან და არ წარმოადგენს პირდაპირ საოპერაციო ხარჯს. იგი მოიცავს სამეურნეო და საკანცელარიო საქონელს, სარემონტო მასალებს, მცირეფასიან ინვენტარს, საოფისე ხარჯებს და საწვას - მასალებს, რომლებსაც საწარმო იყენებს საქმიანობაში.



5. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს დასაქმებულ პერსონალზე გაცემულ ხელფასებსა და სხვა დანამატებს. აგრეთვე სხვადასხვა ბენეფიტებზე (კვება, დაზღვევა, საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, ფასდაკლება სერვისებზე და სხვა.) დარიცხულ გადასახადებს სსკ ს მოთხოვნების შესაბამისად.

6. იჯარის ხარჯები

საიჯარო ხარჯები მოიცავს საოფისე ფართის იჯარას.

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

დასახელება	თანხა
სხვადასხვა საერთო და ადმინისტრაციული	720,025
წარმომადგენლობითი ხარჯები	0
დამსაქმებლის კუთვნილი საპენსიო	5,769
საბუღალტრო მომსახურება	0
ქონების გადასახადი	2,805
სხვა საგადასახადო ხარჯები	831
ბანკის საკომისიო	25,658
საკანცელარიო საქონელი	640
	755,729

8. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან და სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი მოიცავს:



დასახელება	თანხა
ნაშთების დადებითი გადაფასება	
საპროცენტო შემოსავლები	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	15804
კონვერტაციის უარყოფითი სხვაობა	
	15804

9. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება რეზიდენტ და არარეზიდენტ მყიდველებზე საქონლის/მომსახურების მიწოდებისგან. მათ შორის:

მოთხოვნები მომსახურებიდან	თანხა
არარეზიდენტ მყიდველებზე	0
რეზიდენტ მყიდველებზე	0
	0

10. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს საწარმოებზე გადახდილ მიმდინარე ავანსებს და საპენსიო ფონდში ზედმეტად გადახდილ თანხას. დეტალურად მოცემულია ქვემო ცხრილში:

დასახელება	თანხა
რეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0
საპენსიო ფონდში გადახდილი ავანსი	0
0	0



11. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინასწარ გაწეულ ხარჯებს, აგრეთვე ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილ გადასახადებს.

12. ძირითადი საშუალებები

დასახელება	ნაშთი 01.01.2022	შეძენა	ცვეთა	გასვლა	ნაშთი 31.12.2022
ავტო და სხვა ინვენტარი	76,987	41,029	23,603	0	94,413
იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	188,547	42,821	34,705		196,663
არამატერიიარული აქტივები	2,405	4,942	361		6,986
	267,940	88,791	58,669	0	298,062

13. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ადგილობრივ მომწოდებლებისგან შეძენილ საქონელსა და მომსახურებებზე წარმოშობილ, ძირითადად მოკლევადიან ვალდებულებებს.



14. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები ძირითადად ფორმირებულია მომოწდებელზე ავანსის გადახდის საფუძველზე წინასწარ ჩათვლილი დღგ ის თანხისგან.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 28 სექტემბერს.

შპს ჰავანა

დირექტორი : ანა ცქიფურიშვილი

